მომორანდუმი თანამშრომლობის შესახებ სსიპ- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტსა და სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის

2022 წ.

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, მისი რექტორის მაია ჭიჭილეიშვილის სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე, ხოლო მეორე მხრივ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისი რექტორის როლანდ კოპალიანი სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე (შემდგომში მომრანდუმის ტექსტის მიხედვით - მხარეები) შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეთა ურთიერთქმედება შემდეგ საკითხებზე:

1.1. ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი, საგამომცემლო და საგანმანათლებლო მოღვაწეობა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიურ მობილობას;

1.2. კულტურული ურთიერთთანამშრომლობა;

1.3. მემორქანდუმი არ ითვალისწინებს არანაირი სახით მხარეთა ფინანსურ ვალდებულებას.

2. თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები

2.1. სამეცნიერო პუბლიკაციების და სხვა სახის ინფორმაციის გაცვლა;

2.2. ერთობლივი საგამომცემლო მოღვაწეობა (კონფერენციების, სამეცნიერო სტატიების, სასწავლო-მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების კრებულების და ა. შ. გამოცემა);

2.3 სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-მეთოდოლოგიური ლიტერატურის გაცვლა.

2.4 საშემსრულებლო და თეორიული მიმართულებების სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების, მასტერკლასებისა და სხვა სასწავლო შემოქმედებითი მუშაობის ჩატარება

2.5 ცალკეულ მიმართულებებში ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და განხორციელება.

3. თანამშრომლობის ფორმები

3.1. თითოეული მხარის მნიშვნელოვანი მატერიალურ-ტექნიკურ რესურსების გამოყენება

3.2. უნივერსიტეტების პროფესორებისა და სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო შემოქმედებითი პროექტებში

3.3. პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლა აკადემიური პროგრამების და პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში

3.4. კულტურულ-ინფორმაციული გაცვლა ტურიზმისა და კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების სფეროში.

4. მხარეთა ვალდებულებები

ორივე მხარე ვალდებულია:

4.1. მიაწოდოს მეორე მხარეს ინფორმაცია სამეცნიერო ღონისძიებების, გამოფენების, ექსპოზიციების და სხვა სახის ღონისძიებების ჩატარების შესახებ და უზრუნველყოს შესაბამისი ფართით სამეცნიერო-პრაქტიკული მიღწევების პროპაგანდის საწარმოებლად;

4.2. განახორციელოს სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, ურთიერთხელსაყრელი პირობების საფუძველზე გაუზიაროს მეორე მხარეს თანამედროვე მიღწევები და სამეცნიერო-საწარმოო გამოცდილება.

5. მემორანდუმის მოქმედების პირობები

5.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან;

5.2. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ერთ ერთი მხარის სურვილის საფუძველზე. მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტის შესახებ მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობითი ფორმით არაუგვიანეს 30 დღისა ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტამდე;

5.3. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მემორანდუმში შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები წერილობითი ფორმით.

6. მემორანდუმის მოქმედების ვადა

6.1. მემორანდუმის მოქმედების ვადაა 4 წელი. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება ავტომატურად გახანგრძლივდება მომდევნო 2 წლის ვადით, თუკი რომელიმე მხარე არ განაცხადებს მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.2. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა ხელმეწერები:

როლანდ კოპალიანი
აკაკი წერეთლის სახელწიფო უნივერსიტეტი

მაია ჭიჭილეიშვილი
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი